



JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

N 2332936
20.09.2021.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს
მის.: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 6.

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ გეგმავს „35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების „ცემი 2“ და „ცემი 3“-ის“ რეკონსტრუქციას.

ელექტრომომარაგების საიმედოობის გაზრდის მიზნით, სარეკონსტრუქციო 35 კვ ძაბვის „ცემი 2“-ის და „ცემი 3“-ის ელექტროგადამცემი ხაზები წარმოადგენს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ელექტრომომარაგების ქსელის ნაწილს, რომლის ექსპლუატაციაზე 2009 წლის 8 მაისის №49 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-928; 19/10/2020).

საქართველოს კანონი - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განსახილველად წარმოგიდგენთ „35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების „ცემი 2“ და „ცემი 3“-ის“ რეკონსტრუქციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს.

წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშში გათვალისწინებულია სამინისტროს 2021 წლის 23 აგვისტოს N8911/01 წერილში მოცემული შენიშვნები.

დანართი:

- 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ცემი 2“ და „ცემი 3“-ის რეკონსტრუქციის პროექტის სკრინინგის ანგარიში;
- სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ პასუხები სამინისტროს 2021 წლის 23 აგვისტოს N 8911/01 წერილში მოცემულ შენიშვნებზე;
- 35 კვ ძაბვის ეგზ „ცემი 2“-ის და „ცემი 3“-ის რეკონსტრუქციის ფარგლებში ბიომრავალფეროვნების შეფასების ელექტრონული ვერსია;
- 35 კვ ძაბვის ეგზ-ების „ცემი-2“-ის რეკონსტრუქციის პროექტისთვის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ანგარიშის ელექტრონული ვერსია;



- 35 კვ ძაბვის ეგზ-ების „ცემი-3“-ის რეკონსტრუქციის პროექტისთვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ანგარიშის ელექტრონული ვერსია;
- ელექტრული და მაგნიტური ველების დამაბულობის ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობების შესახებ საექსპერტო დასკვნის ელექტრონული ვერსია;
- სატყეო უწყისების ელექტრონული ვერსიები;
- 35 კვ ძაბვის საპაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ცემი 2“ და „ცემი 3“-ის კოორდინატები (Shp ფაილები);

პატივისცემით,

გრიგოლ მამისეიშვილი
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე



შემსრულებელი: მარიამ მჭედლიშვილი /ტელ: 577 35 10 55